



წარმოადგენს თუ არა რუსეთი მზარდ საფრთხეს აშშ-ს ეროვნული
ინტერესებისთვის

მერი ბზიკაძე

შინაარსი

ანოტაცია	3
1.1 კვლევის აქტუალობა	5
1.2 კვლევის საგანი	6
1.3 კვლევის მიზანი	7
1.4 ჰიპოთეზა	8
1.5 მეთოდოლოგია	9
1.6 ლიტერატურის მიმოხილვა	10
თავი II. თეორიული ჩარჩო : სტრუქტურული რეალიზმი	11
თავი III	14
3.1 ოზამასა და ტრამპის მიერ შემუშავებული აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების შედარებითი ანალიზი	14
3.2 რუსეთის ეროვნული ინტერესები	19
3.4 რუსეთის ჰიბრიდული ომი	21
3.5 აშშ-რუსეთი ახლო აღმოსავლეთში - სირიის კრიზისი	27
3.4 რუსეთის ახალი ბირთვული შეიარაღება	31
3.5 რუსეთის სუსტი მხარეები	32
დასკვნა	34
ბიბლიოგრაფია	37

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს აშშ-ს ორი უკანასკნელი ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების დამოკიდებულებას რუსეთის მზარდი ამბიციების მიმართ, რომელიც ცდილობს მოირგოს გლობალური მოთამაშის როლი, რაც წარმოადგენს არსებული საერთაშორისო წესრიგისათვის, სადაც აშშ წარმოადგენს ერთპიროვნულ ლიდერს, სერიოზულ გამოწვევას. ჩატარებული ანალიზი ცხადჰყოფს, რომ თეთრი სახლი აცნობიერებს კრემლიდან მომდინარე გამოწვევებს და ცდილობს მას დაუპირისპიროს ეკონომიკური და ფინანსური სანქციები, გამიზნული რუსეთის, ჯერ კიდევ სუსტი, ეკონომიკური სისტემის განვითარების შეჩერებისაკენ. ნაშრომი, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ავლენს არსებით სხვაობებს ობამასა და ტრამპის ადმინისტრაციების უსაფრთხოების პოლიტიკის მიდგომებში: თუ ობამას მმართველობის დროს ადმინისტრაციას სჯეროდა რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის, ტრამპის თეთრ სახლში შესვლის შემდეგ ილუზიები გაქრა და დაპირისპირებამ მიიღო საკმაოდ დამაბული ხასიათი. ნაშრომი ავლენს ვაშინგტონის საგარეო პრიორიტეტების ცვლილებების გამომწვევ მიზეზებისა და რუსეთისგან მომავალი საფრთხეების დინამიურ ზრდას. ამასთანავე კვლევის შედეგად გაანალიზებულ იქნა რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ბოლოდროინდელი ცვლილებები, კრემლის გამომწვევი ქცევის განმსაზღვრელი გარემოებები და, კერძოდ, ქმედებები, რომელიც მიმართულია “დასავლეთის” და უპირველეს ყოვლისა აშშ-ს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

თავი. შესავალი

პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ 2017 წლის დეკემბერში შეიმუშავა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრულია აშშ-ს ძირითადი ინტერესები, პრიორიტეტები და საფრთხეები. აღნიშნულ სტრატეგიაში რუსეთი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის საკვლევ საგანს, წარმოჩენილია, როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. პრეზიდენტი ტრამპი ხაზს უსვამს, რომ რუსეთი არის გამოწვევა აშშ-ს გლობალური გავლენისა და ეროვნული ინტერესებისათვის, რადგან ის ცდილობს ზიანი მიაყენოს აშშ-ს უსაფრთხოებას, კეთილდღეობას და ფუნდამენტურ ღირებულებებს. სტრატეგიის მიხედვით, რუსეთის გაზრდილი სამხედრო შესაძლებლობები, მათ შორის ახალი ბირთვული შეიარაღება, რჩება აშშ-ს ეგზისტენციალურ საფრთხედ. აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებს ტრამპის პერიოდში მოიხსენიებენ როგორც ახალ "ცივ ომს". ტრამპის თეთრ სახლში მოსვლის შემდეგ, არსებობდა მოლოდინი, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობები დათბებოდა და გადავიდოდა თანამშრომლობის რეჟიმში. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული მოლოდინებისა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ტრამპის თავდაპირველი პოზიცია და დამოკიდებულება მოსკოვის მიმართ იყო დადებითი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული, თუმცა საკმაოდ სწრაფად შეიცვალა კრიტიკული რიტორიკით, დაპირისპირების ესკალაციით და ახალი სანქციების პაკეტებით.

1.1 კვლევის აქტუალობა

ცივი ომის პერიოდის დასრულების შედეგად, არსებობდა გარკვეული მოსაზრება რუსეთის საგარეო პოლიტიკასთან და აშშ-რუსეთის შემდგომი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით. რუსეთი, საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ, ითვლებოდა კეთილგანწყობილ ძალად. მართლაც, რუსეთმა, საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდგომ, აიღო პროდასავლური კურსი. ახალი ათასწლეულის მიჯნაზე რუსეთში პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლის შემდგომ მოსკოვმა დაიწყო კონცენტრირება თავისი დაკარგული ძალაუფლების აღდგენაზე. 2007 წელს პრეზიდენტ პუტინის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლაში უკვე დაუფარავად იქნა წარმოჩენილი რუსეთის პოზიცია. კრემლმა წარმოადგინა ახალი მსოფლიო წესრიგის მისეული ხედვა, სადაც რუსეთს უნდა დაეკავებინა ღირსეული ადგილი და აღარ შეურიგდებოდა აშშ-ს დიქტატსა და უნიპოლარულ გლობალურ მართვას. 2008 წლიდან რუსეთი სიტყვებიდან გადავიდა ქმედებებზე და პირველ რიგში გადაწყვიტა აღედგინდა დომინანტური როლი პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ამ მოვლენებმა განაპირობეს მნიშვნელოვანი ცვლილებები დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებაში. მეტიც, დასავლეთში შიდაპოლიტიკურ დონეზეც აღინიშნა რიგი რეგულაციები, მაგალითად უსაფრთხოების პოლიტიკის მოდიფიცირება, დასავლეთის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ახალ, უფრო მყარ ეტაპზე გადასვლა, ნატოს წევრ და არაწევრ ევროპულ სახელმწიფოებს შორის კოოპერაცია. ყოველივე ეს გამოიწვია რუსეთის საფრთხედ აღქმამ.

აშშ ჯერაც წარმოადგენს ერთადერთ სუპერძალას, რაც აღიარებულია ყველა მოთამაშის მიერ (მათ შორის რუსეთისა და ჩინეთის მიერ) ხოლო რუსეთი რეგიონალური აქტორი, რომელსაც აქვს ამბიცია იყოს გლობალური მოთამაშე საერთაშორისო ურთიერთობებში, შესაბამისად მათ კონფრონტაციასა თუ თანამშრომლობას საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს არსებულ მსოფლიო

წესრიგზე. აშშ-რუსეთის ურთიერთობა განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტებს. საინტერესოა თვითონ აშშ-ს ხედვა, რადგან ის თუ როგორ აღიქვამს და როგორი დამოკიდებულება აქვს მას რუსეთის მიმართ, აუცილებლად აისახება მისი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკაში.

მოცემული კვლევა აქტუალურია, რადგან ტრამპის პრეზიდენტობის პირობებში აღინიშნება აშშ-რუსეთის დაპირისპირების ესკალაცია და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში დგას ახალი “ცივი ომის” საკითხი, შესაბამისად, საინტერესოა, რუსეთისგან მომავალი საფრთხეების ტენდენციის ანალიზი და მისი გავლენა აშშ-ს ეროვნულ ინტერესებზე.

1.2 კვლევის საგანი

მოცემული ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს რუსეთი - გავლენიანი მოთამაშე და არსებული მსოფლიო წესრიგის მოწინააღმდეგე, რომელიც ვერ ეგუება „ერთი ცენტრიდან მართულ სამყაროს“. მოსკოვის ნეოიმპერიალისტურმა ინსტინქტებმა საკმაოდ იმძლავრა და შედეგად სერიოზული პრობლემები შეუქმნა აშშ-ს; რუსეთის გააქტიურება საერთაშორისო არენაზე და მისი აგრესიული პოლიტიკა დასავლური სამყაროს მიმართ შეიძლება განიხილოს, როგორც მისი ნეოიმპერიული, რევიზიონისტული ამბიცია. საბჭოთა კავშირის აშშ-სთან სამარცხვინო მარცხმა, აგრეთვე, რუსეთის იმპერიალისტურმა ბუნებამ და გლობალურ სადავეებთან ყოფნის ამბიციამ (“great power competition”) განაპირობეს კრემლის სტრატეგია, რომ რუსეთი იყოს უდაოდ გლობალური და მნიშვნელოვანი მოთამაშე, იყოს “შეუცვლელი და საჭირო პარტნიორი”, შესაბამისად, პუტინი ცდილობს მაქსიმალურად მოახმაროს რესურსები ამ მიზნების გახორციელებას.

ბოლო პერიოდში რუსეთი ცდილობს ხისტი პოლიტიკის გატარებით გაზარდოს თავისი როლი და გაიმყაროს პოზიციები - თავდაპირველად, თავისი ძალები გამოიყენა საქართველოში, შემდეგ ყირიმის ანექსია მოახდინა. თავისი

სამხედროების გაგზავნით სირიაში, სადაც იცავს პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის ავტოკრატიულ რეჟიმს, მაშინ როდესაც აშშ კონფრონტაციის მეორე მხარესაა, რუსეთი ცდილობს იყოს გლობალური დონის მოთამაშე და აშშ-ს წინააღმდეგობა გაუწიოს ყველგან, სადაც მოახერხებს. ის ცდილობს პოზიციები გაიმყაროს ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში, აფრიკის რეგიონებსა და ლათინურ ამერიკაშიც - კი.

რუსეთის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი აშშ-ს წინააღმდეგ არის ჰიბრიდული ომის წარმოების შესაძლებლობები. ენერგორესურსებით მანიპულირების, პროპაგანდის, კიბერშეტევების საშუალებით, რუსეთი ქმნის არასტაბილურობის საფუძვლებს დასავლეთის მთავრობებში, ასუსტებს ტრანსატლანტიკურ სოლიდარობას და აფერხებს დასავლეთთან ინტეგრაციას. აგრეთვე, ეჭვის ქვეშ აყენებს აშშ-ს ჰეგემონობას გლობალურ ასპარეზზე და მის პრესტიჟს. ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი რუსეთის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული ჰიბრიდული ომისა, არის მისი ჩარევა აშშ-ს 2016 წლის არჩევნებში, რამაც შელახა აშშ-ს მოქმედი ადმინისტრაციის ლეგიტიმურობა.

ინოვაციური და აშშ-სთვის განსაკუთრებულად საფრთხისშემცველი არის პუტინის მიერ ფედერალურ საბჭოსთან გამართულ შეხვედრაზე წარმოდგენილი ახალი ბალისტიკური რაკეტები და მრავალფუნქციური ბირთვული იარაღი, რაც რუსეთს უფრო მეტად ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს საერთაშორისო ასპარეზზე.

1.3 კვლევის მიზანი

მოცემული კვლევის მიზანია გაანალიზოს თუ რა ცვლილებები აღინიშნება აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში რუსეთთან მიმართებაში და რამ გამოიწვია ეს ცვლილებები დონალდ ტრამპის თეთრ სახლში მოსვლის შემდეგ.

კვლევა მიზნად ისახავს, განიხილოს აშშ-ს ეროვნული პრიორიტეტები და ის საფრთხეები, რომლებიც გამოწვეულია რუსეთის მზარდი ამბიციებით, გლობალურ

პოლიტიკაში ჩართვის სურვილით და შედეგად წარმოებული ხისტი საგარეო პოლიტიკით, რომელიც მიმართულია დასავლეთის, პირველ რიგში კი აშშ-ს ინტერესების წინააღმდეგ. აგრეთვე, რა ტენდენციები შეიძლება გამოიყოს რუსეთ-ამერიკის მიმდინარე ურთიერთობებში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს დამკვიდრებულ წესრიგზე.

საბოლოოდ კვლევა მიზნად ისახავს გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

- რა პრინციპული უთანხმოებაა აშშ-სა და რუსეთის ინტერესებს შორის?
- რამდენად განსხვავდება ტრამპისა და ობამას ადმინისტრაციების მიდგომები რუსეთის, როგორც მზარდი საფრთხის ხედვაში და შეკავების პოლიტიკის წარმართვაში?
- რა განაპირობებს მათი დაპირისპირების მიმდინარე პოლიტიკის დღის წესრიგში წამოწევას?

საკვანძო საკვლევი კითხვა კი შემდეგნაირად იქნა ჩამოყალიბებული: **წარმოადგენს თუ არა რუსეთი მზარდ საფრთხეს აშშ-ს ეროვნული ინტერესებისათვის?**

1.4 ჰიპოთეზა

რუსეთის ამბიციები, მოიხრგოს გლობალური მოთამაშის როლი, წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას ტრამპის ადმინისტრაციისათვის, რაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში. შედეგად, აშშ-სა და რუსეთს შორის დაპირისპირება საშიშ წერტილს უახლოვდება, რომელიც გლობალური კონფრონტაციის ზღვარზე მიმდინარეობს. მოსკოვი, რომელიც განიცდის არსებით ზეწოლას დასავლეთის მიერ გამოყენებული სანქციების გამო, გარიყულია გლობალური გადაწყვეტილების მიღების პროცესისაგან. კრემლი გამომწვევად ახორციელებს აქტიურ მილიტარიზაციას და ძალის დემონსტრირებას, ამასთანავე, იყენებს ყველა საშუალებას მისი ინტერესების წარმოსაჩენად, მათ შორის

საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევის ხარჯზე. თუმცა, რუსეთი, შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების, სუსტი მოკავშირეებისა და არაერთგვაროვანი ალიანსის პირობებში, გრძელვადიან პერსპექტივაში დასავლეთთან მკვეთრი დაპირისპირების პირობებში ვერ ახერხებს საპირწონე ძალის პოზიციების შენარჩუნებას და ანტიდასავლური ქმედითი ალიანსის შექმნას.

1.5 მეთოდოლოგია

საკითხის შესასწავლად კვლევა გამოიყენებს აშშ-ს უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოქტრინალური დოკუმენტების კონტენტ-ანალიზის მეთოდს, და ასევე, თვისებრივი კვლევის მეთოდებს.

კონტენტ-ანალიზი არის რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის (ოფიციალური დოკუმენტები, გაზეთები, ინტერვიუები, საჯარო გამოსვლები) შესწავლას, როდესაც ხდება მისი კლასიფიკაცია ფორმალიზებული პრინციპით. კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენება მიზნად ისახავს ამა თუ იმ ფაქტორის გამოვლენის სიხშირის დადგენას.

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგანაც კვლევა მიზნად ისახავს ახსნას საკითხის თავისებურებები და მიზეზები, მართებულია გამოყენებულ იქნას თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ აკადემიური ნაშრომების მიმოხილვა და მათი ანალიზი. განსხვავებით რაოდენობრივი კვლევის მეთოდისგან, თვისებრივი კვლევის შედეგად მოგროვებული მონაცემები მოკლებულია მათემატიკურ სიზუსტეს, რთულია იმის მეცნიერულად დამტკიცება, რომ სრულად არის შესწავლილი ესა თუ ის ფენომენი და რომ მიღებული შედეგი ობიექტური და სანდოა. სამაგიეროდ, თვისებრივი მეთოდების გამოყენების შედეგად შესაძლებელია დაფიქსირდეს და აიხსნას აღნიშნული ფენომენის ნიუანსები, რაც შეუმჩნეველი იქნება რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებისას.

1.6 ლიტერატურის მიმოხილვა

საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებები რუსეთის მხრიდან მომავალი საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ იყოფა. ავტორიტეტული ჟურნალის "Foreign Affairs"-ის მიერ ჩატარდა გამოკითხვა, თუ რამდენად წარმოადგენდა რუსეთი აშშ-ს მთავარ გეოპოლიტიკურ საფრთხეს. ექსპერტთა ნაწილი, რომელიც ეთანხმება აღნიშნულ დაშვებას, აფიქსირებს შემდეგ არგუმენტებს: რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს, რადგან სიღრმისეულად ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო წესრიგს და სტატუს-ქვოს; მოსკოვი ცდილობს ცივი ომის შემდგომ შექმნილი წესრიგის დესტაბილიზაციას, ხოლო მისი ფოკუსი არის აშშ-ს ინტერესების ხელყოფა. ამასთან რუსეთი ცდილობს გააღვივოს არსებული რეგიონალური კონფლიქტები, შეასუსტოს აშშ-ს ალიანსი და მხარი დაუჭიროს მის მტრებს. მოსკოვი აგრძელებს აგრესიული პოლიტიკის წარმოებას უკრაინის წინააღმდეგ, მხარს უჭერს ირანის რეგიონალურ ჰეგემონიას, გაეროში ვეტოს გამოყენების საშუალებით ამცირებს ჩრდილოეთ კორეისთვის სანქციების დაწესებას, მხარს უჭერს ჩინეთს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ს ინტერესების საწინააღმდეგოდ დომინანტობის მოსაპოვებლად. აგრეთვე, ექსპერტთა აზრით, რუსეთის ბირთვული არსენალი მას აშშ-ს მთავარ საფრთხედ ხდის. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა მეორე ჯგუფი განსხვავებულ პოზიციას ემხრობა. მაგალითად, ჯონ მერშაიმერი თვლის, რომ რუსეთის ძალა სულ უფრო მცირდება აშშ-სთან შედარებით და პერსპექტივაში, ჩინეთი წარმოადგენს აშშ-სთვის გამოწვევას და არა რუსეთი. აგრეთვე, ექსპერტთა უმეტესობა მთავარ არგუმენტად ასახელებს, რომ რუსეთი არის პრობლემა მოკლევადიან პერსპექტივაში, რადგან არის რევანშისტურად განწყობილი და ემნის არსებული უსაფრთხოებისთვის გამოწვევას, თუმცა მას არ გააჩნია ეკონომიკური რესურსები და ძლიერი ალიანსი, თავისი მიზნის მისაღწევად (How Big a Challenge Is Russia?, 2017).

თავი II. თეორიული ჩარჩო : სტრუქტურული რეალიზმი

ერთ-ერთი დომინანტური თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში არის სტრუქტურული რეალიზმი, რომლის მამამთავრად ითვლება ქენეთ უოლცი (Kenneth Waltz). მისი მთავარი მიზანი იყო, რომ ჩამოეყალიბებინა კანონზომიერება საერთაშორისო ურთიერთობებში.

სტრუქტურული რეალიზმის (ნეორეალიზმის) მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო სისტემა არის ანარქიული, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ არ არსებობს წესრიგი. სისტემის ანარქიულობა გულისხმობს, რომ არ არსებობს ზემდგომი ხელისუფლება. ნეორეალიზმის მიხედვით, დიდი სახელმწიფოები ("great powers") არიან ანარქიული საერთაშორისო სისტემის მთავარი აქტორები და სწორედ არსებული სისტემის კანონზომიერება განაპირობებს მათ საქციელს და არა, როგორც კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლები ამტკიცებენ, ადამიანის ბოროტი ბუნება. სტრუქტურული რეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა უბიძგებს სახელმწიფოებს, რომ იღწვოდნენ ძალის მოსაპოვებლად. სისტემაში, სადაც არ არის ზესახელმწიფო, რომელიც გააკონტროლებდა საერთაშორისო წესრიგს, არ არის გარანტია, იმისა, რომ ერთი სახელმწიფო არ დაესხმევა თავს მეორეს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ყოველ სახელმწიფოს სურს იყოს იმდენად ძლიერი, რომ თავი დაიცვას. ეს კი წარმოშობს კონკურენციას სახელმწიფოთა შორის თვითგადარჩენისთვის.

სტრუქტურული რეალიზმის მიხედვით, არის ხუთი მთავარი მოსაზრება, თუ რატომ ეჯიბრებიან სახელმწიფოები ერთმანეთს ძალის მოსაპოვებლად:

1. დიდი სახელმწიფოები არიან საერთაშორისო ანარქიული სისტემის მთავარი აქტორები.
2. ყველა სახელმწიფოს გააჩნია თავდასხმითი შესაძლებლობები.
3. სახელმწიფოები არასდროს არიან დარწმუნებულნი სხვა სახელმწიფოების განზრახვებში.

4. მთავარი მიზანი სახელმწიფოებისთვის არის თვითგადარჩენა.
5. სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები და მოქმედებენ საერთაშორისო სისტემაში თვითგადარჩენის სტრატეგიით.

კლასიკური რეალიზმი ხაზს უსვამს ძალის ფაქტორს - როგორც მიზანს, ხოლო სტრუქტურული რეალიზმისთვის ძალა არის - მიზნის მიღწევის საშუალება, ხოლო საბოლოო მიზანი არის - თვითგადარჩენა. სტრუქტურულ რეალისტების მიდგომა, სახელმწიფოს ქცევის ლოგიკის ახსნასთან დაკავშირებით, ვითარდება ორი განსხვავებული მიმართულებით, როდესაც ისმევა კითხვა: რა ძალაა საკმარისი? თავდაცვითი რეალიზმის წარმომადგენლები, როგორც არის ქენეთ უოლცი, თვლიან, რომ სახელმწიფოები იღვწიან "status-quo"-ს შენარჩუნებისკენ (Waltz, 1979). სახელმწიფოსთვის არაა მიზანშეწონილი თავისი ძალის მაქსიმიზაცია, რადგან სისტემა "დასჯის" მათ, თუ ეცდებიან ზედმეტი ძალის მოპოვებას. ისინი მიიჩნევენ, რომ ჰეგემონისკენ სწრაფვა არის დამანგრეველი. თავდასხმითი რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ჯონ მერშაიმერს, აქვს საწინააღმდეგო მოსაზრება: სახელმწიფოსთვის კარგი სტრატეგიული გათვლაა, რომ მოიკრიფოს იმდენი ძალა რამდენიც შეუძლია, და თუ გარემო პირობები ხელს უწყობს, მოიპოვოს ჰეგემონია, რადგანაც ეს უზრუნველყოფს მის გადარჩენას საერთაშორისო სისტემაში (Mearsheimer, Structural Realism, 2013).

თავდაცვითი რეალიზმის კონცეფციის ძირითადი არგუმენტებია: 1) დაბალანსება - თუ სახელმწიფო გახდება ზედმეტად ძლიერი, ეს უბიძგებს სხვა დიდ სახელმწიფოებს უფრო გაზარდონ თავიანთი სამხედრო შესაძლებლობები და შექმნან ალიანსები, რათა დააბალანსონ ან გაანადგურონ ჰეგემონი. 2) თავდაცვა-თავდასხმითი ბალანსის კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს რამდენად რთულია/მარტივია ექსპანსიის წარმოება ან თავდამსხმელის მოგერიება. შესაბამისად, თუ სახელმწიფოების თავდაცვითი და თავდასხმითი შესაძლებლობები

ერთმანეთს უახლოვდება, ან თუ თავდაცვას აქვს უპირატესობა, თავდასხმას ეკარგება აზრი.

თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით, დიდი სახელმწიფოები იაზრებენ, რომ მათი უსაფრთხოების საუკეთესო საშუალება არის ჰეგემონიის მიღწევა ახლა, რითაც გამორიცხავენ სხვა დიდი სახელმწიფოებისგან მუქარის შესაძლებლობას. არც ერთი სახელმწიფო არ გამოტოვებს შესაძლებლობას იყოს ჰეგემონი სისტემაში, იმ მოტივით, რომ უკვე გააჩნია საკმარისი ძალა თვითგადარჩენისთვის. მერშაიმერის მოსაზრებით, სახელმწიფოს საუკეთესო სტრატეგია გაზარდოს თავისი ფარდობითი უპირატესობა (relative power) ჰეგემონიის მისაღწევად, არის თავდასხმითი ტაქტიკით ხელმძღვანელობა. შესაბამისად აგრესიული პოლიტიკა სახელმწიფოებისთვის რაციონალურა, რადგან ექსპანსია მათ ჰეგემონიას მიუახლოვებს (Mearsheimer, The tragedy of great power politics, 2001).

დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობების რეალობაში ძალა კვლავ რჩება მნიშვნელოვან ფაქტორად. რუსეთი დღეს, გვევლინება, როგორც რევიზიონისტი აგრესორი სახელმწიფო, რომელიც არ კმაყოფილდება სტატუს-კვოს არსებობით და ცდილობს გაზარდოს თავისი ძალა და გავლენა, როგორც რეგიონში, ისე გლობალური მასშტაბით. შესაბამისად, რუსეთის ქმედების ლოგიკა წინამდებარე კვლევაში აიხსნება თავდასხმითი რეალიზმის კონცეფციის ფარგლებში. ხოლო, აშშ, როგორც ყველაზე ძლიერი სახელმწიფო თანამედროვე მსოფლიოში, არის დაინტერესებული არსებული წესრიგის შენარჩუნებით, და არ სურს სტატუს-კვოს შეცვლა და ახალი ძალების აღზევება საერთაშორისო არენაზე, აქედან გამომდინარე, აშშ-ს ქცევის სტრატეგია განიხილება თავდაცვითი რეალიზმის კონცეფციის ჭრილში.

თავი III

3.1 ობამასა და ტრამპის მიერ შემუშავებული აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების შედარებითი ანალიზი

ტრამპის ადმინისტრაციამ 2017 წლის დეკემბერს შეიმუშავა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრულია აშშ-ს უსაფრთხოების ძირითადი პრიორიტეტები, აშშ-ს ეროვნული ინტერესების მიმართ არსებული საფრთხეები და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მიმართულებები. დოკუმენტში აგრეთვე განხილულია აშშ-ს სტრატეგია მსოფლიოს რეგიონებში - გამოწვევები, თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობა, სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივები.

აღნიშნულ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ნაშრომის კვლევის საგნის - რუსეთის განხილვას. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რუსეთი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს აშშ-ს ეროვნული ინტერესებისთვის, რადგან ცდილობს არსებული სტატუს-ქვოს შეცვლას. სტრატეგიის მიხედვით, რუსეთი გამოწვევას უქმნის ამერიკის ძალას, გავლენას და ინტერესებს, ცდილობს რა, ზიანი მიაყენოს მის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. მოსკოვის მიზანია ეკონომიკა ნაკლებად თავისუფლად და სამართლიანად აქციოს, გაზარდოს საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები და აკონტროლოს მონაცემები და ინფორმაცია საკუთარი საზოგადოების რეპრესიისათვის და საკუთარი გავლენების გასაზრდელად.

ცხადია, რომ რუსეთი აშშ-ს ეჯიბრება საერთაშორისო ურთიერთობებში გავლენის მოსაპოვებლად. მსგავსმა ქმედებებმა განაპირობეს აშშ-ს მხრიდან უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში არსებული პოლიტიკის გადასინჯვა - პოლიტიკის, რომელიც ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ ოპონენტების ჩართვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და გლობალურ ვაჭრობაში აქცევს მათ არააგრესიულ აქტორებად და სანდო პარტნიორებად. თუმცა დიდწილად, ეს მოსაზრება აღმოჩნდა მცდარი.

რუსეთი, როგორც აშშ-ს კონკურენტი აქტორი, იყენებს პროპაგანდას და სხვა საშუალებებს, რათა შეასუსტოს არსებული წესრიგი, დემოკრატია. ამის დამადასტურებელი ფაქტორია ცრუ, ანტიდასავლური ინფორმაციების გავრცელება, რაც სანდოობის ხარისხს ამცირებს და გაურკვევლობებს ქმნის აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის. კრემლი ძალიან დიდ რესურსებს ხარჯავს მილიტარიზაციაში, სამხედრო შესაძლებლობებს ზრდასა და მოდიფიცირებაში, მათ შორის ბირთვულ იარაღში, რაც კვლავ რჩება აშშ-სათვის ყველაზე მნიშვნელოვან გარე საფრთხედ. რუსეთი ცდილობს ჩაერიოს გლობალურ პოლიტიკაში და ეს ჩარევა საკმაოდ უხეშია. სხვადასხვა ფორმით ის ერევა ქვეყნების პოლიტიკებში და არღვევს სახელმწიფოების სუვერენიტეტსაც კი, ქმნის არასტაბილურობის კერებს ევრაზიაში. რუსეთს სურს ადადგინოს თავისი სუპერძალის სტატუსი და საკუთარ საზღვრებთან გააფართოვოს გავლენის სფეროები.

დემოკრატია მხოლოდ იმდენად არის გამძლე, რამდენადაც მისი ხალხი. ინფორმირებული და ჩართული მოქალაქეები არის ფუნდამენტური მოთხოვნა თავისუფალი და გამძლე ერისათვის. აშშ-სთვის თანამედროვე ეტაპზე ძალიან რთულია რუსეთის ჰიბრიდული ომისგან თავდაცვა. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მოსკოვი იყენებს საინფორმაციო საშუალებებს იმისთვის, რომ დემოკრატიების ლეგიტიმურობას ძირი გამოუთხაროს. მოსკოვი მედიის, ფინანსური კავშირებისა და პერსონალური მონაცემების და სხვა საშუალებებით საკუთარი მიზნების განსახორციელებას ცდილობს. შესაბამისად აშშ-ს სახელმწიფოებრივი, საციცოცხლოდ აუცილებელი ინტერესია, რომ ქვეყნის საჯარო და კერძო სექტორმა გააცნობიეროს საერთო ძალისხმევის საჭიროება, რათა არ მოხდეს სახელმწიფო სისტემის რღვევა და ერის გაყოფა. რუსეთი თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობს ეკონომიკური საკითხებისა და ენერგორესურსებით მანიპულირებით ევროპის ნაწილსა და ცენტრალურ აზიაში.

ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა საფრთხეების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ადმინისტრაციამ პრეზიდენტ ტრამპის თაოსნობით

ჩამოაყალიბა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები შემდეგნაირად:

- 1) *ამერიკელი ხალხის, სამშობლოს და ამერიკული ცხოვრების წესის დაცვა* - ამ პრიორიტეტის განსახორციელებლად აშშ გაზრდის თავდაცვით შესაძლებლობებს, კერძოდ, დაიცავს ინფრასტრუქტურას კიბერ აქტორებისგან; განავითარებს მრავალფუნქციურ ანტისარაკეტო სისტემას, რაც კიდევ უფრო შეუზღუდავს აშშ-ს მტრებს თავდასხმის შესაძლებლობებს.
- 2) *ამერიკის კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა*
- 3) *ძალის მეშვეობით მშვიდობის შენარჩუნება* - ამ პრიორიტეტის მიხედვით, აშშ მოახდენს თავისი მილიტარისტული შესაძლებლობების მოდიფიცირებას, ისე რომ ის იქნება მოწინავე და დაუმარცხებელი. აგრეთვე, აშშ არ დაუშვებს მსოფლიოს არც ერთ რეგიონში რომელიმე ძალის დომინირებას. ამისათვის, კიდევ უფრო გაძლიერდება საჰაერო და კიბერსივრცე, რათა მაქსიმალურად დაიცვას აშშ-ს ინტერესები გარე საფრთხეებისგან.
- 4) *ამერიკის გავლენის გავრცელების გაზრდა* - აშშ-ს ძირითადი ღირებულებების გავრცელება, ქვეყნების დემოკრატიზაცია, მულტილატერალურ ორგანიზაციებში ლიდერობა და მათი განვითარება.

პრეზიდენტ დონალდ ტრამპმა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია წარადგინა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ბოლო სტრატეგიის შემუშავებიდან 34 თვის შემდეგ. ამ ორ სტრატეგიას შორის არსებითი განსხვავებაა. ობამას სტრატეგია მოიცავს 29 გვერდს და დაახლოებით 13, 600 სიტყვას, აქედან რუსეთი ნახსენებია 15 ჯერ 10 აბზაცში. ტრამპის სტრატეგია შეადგენს 55 გვერდსა და 20, 300 სიტყვას, რუსეთი ნახსენებია 25 ჯერ 15 აბზაცში.

ხაზგასასმელია რუსეთის ხსენების კონტექსტი, რაშიც გამოიხატება მის მიმართ აშშ-ს დამოკიდებულება. კვლევისთვის საინტერესოა, რა ცვლილებები აღინიშნება დონალდ ტრამპის სტრატეგიაში რუსეთის მიმართ, 2015 წლის სტრატეგიისგან განსხვავებით. მოცემულ ორ დოკუმენტს თუ შევადარებთ ერთმანეთს ცხადი ხდება, თუ რამდენად განსხვავდება ახალი ადმინისტრაციის ხედვა კრემლთან დაკავშირებით, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით. ახალ დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი რუსეთი თანამედროვე ეტაპზე როგორ სახელმწიფოს წარმოადგენს, რა პრობლემებსა და გამოწვევებს ქმნის, დაფიქსირებულია აშშ-ს პოზიციაც. განსხვავებით ზემოაღნიშნული ხედვისა, ობამა თავის სტრატეგიაში უფრო ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს რუსეთზე და ამასთან, არ აღინიშნება რუსეთის ქმედებების ისე მწვავედ და სერიოზულად აღქმა, როგორც ეს დაფიქსირებულია ახალ დოკუმენტში. იმისათვის, რომ კვლევაში ცხადი იყოს ტრამპისა და ობამას სტრატეგიებს შორის განსხვავება რუსეთის მიმართებით, უფრო დეტალურად გაანალიზებულ იქნება ამ ქვეყნის ხსენების კონტექსტი და მახასიათებლები.

ობამამ 2015 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში გამოხატა უკმაყოფილება რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართ, რაც გამოწვეული იყო უკრაინის კრიზისის პრეცედენტით. ამ მოვლენიდან სულ რაღაც 3 წლით ადრე, 2012 წლის საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ის აკრიტიკებდა რესპუბლიკელ მიტ რომნის, რომელიც მოუწოდებდა მოსკოვის მიმართ მეტი სიფრთხილის გამოჩენას, ამავდროულად ობამა აღნიშნავდა, რომ ცივი ომის პერიოდი დასრულდა და მსგავსი მიდგომა არ იყო მართებული (Zumwalt, 2017).

ობამას სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია უშუალოდ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე უკრაინაში და ამ მოვლენის უარყოფითობაზე. აგრეთვე აღნიშნულია პოზიცია, რომ ვაშინგტონი თავის პარტნიორებთან ერთად მკაცრი სანქციებით წინააღმდეგობას გაუწევს რუსეთს და მომავალი აგრესიისგან მის შეკავებას შეეცდება.

მოცემულ სტრატეგიაში რუსეთი არ არის წარმოჩენილი, როგორც აშშ-ს ინტერესებისთვის ცხადი საფრთხე, როგორც ოპონენტი ან კონკურენტი, რასაც ვერ ვიტყვით ტრამპის მიერ დაფიქსირებულ პოზიციაზე, რომელიც დეტალურად აღწერს რუსეთს, როგორც ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს და გამოწვევას არსებული სტატუს-ქვოსა და მსოფლიო წესრიგისათვის. წინა ადმინისტრაციის სტრატეგიიდან ცხადი ხდება, რომ რუსეთის მრიდან მომავალი საფრთხე არ იყო ბოლომდე გაცნობიერებული, და ამასთან, 3 წელიწადში უფრო გამოიკვეთა ის რეალური გამოწვევები და მოსკოვის შესაძლებლობები, რითაც მან მოახერხა დასავლეთის ყურადღების მოპყრობა და მათი მხრიდან მეტი ანგარიშის გაწევა. ორივე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ახდენს ენერგორესურსებით მანიპულირებას და იყენებს როგორც პოლიტიკურ ბერკეტს, შესაბამისად აუცილებელია ენერგეტიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაცია და ამ გავლენებისგან თავის არიდება (National Security Strategy, 2015).

რაც შეეხება ახალი ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ სტრატეგიას, ჩვენ ვაკვირდებით აბსოლუტურად განსხვავებულ დამოკიდებულებას და პოზიციას. რუსეთი ცხადად აღქმულია, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნის აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს და ხაზგასმულია რუსეთის ბირთვული შესაძლებლობები, რაც რჩება აშშ-სთვის ეგზისტენციალურ საფრთხედ. ტრამპმა აღნიშნა, რომ აშშ ახალ ანტისარაკეტო, თავდაცვით სისტემებს განავითარებს და ეს მოწმობს, რომ ვაშინგტონში რეალურად გაიზარდა საფრთხის აღქმა.

ამასთან, ხაზგასმულია, რომ მოსკოვი თავისი მასშედიისა და სოციალური ქსელების გამოყენებით აწარმოებს საინფორმაციო ომს, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის აშშ-ს ფუნდამენტურ და სასიცოცხლოდ აუცილებელ ღირებულებას - დემოკრატიის ლეგიტიმურობას (National security Strategy, 2017).

მაშასადამე, მოცემულ ორ სტრატეგიას შორის განსხვავება რუსეთის კონტექსტში ცხადია და აღსანიშნავია, რომ ტრამპი/პუტინის შეთქმულების თეორიის, მათი ურთიერთობების დათბობის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ტრამპის 2017 წლის აშშ-

ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში რუსეთი არაერთხელ გაკრიტიკებულია თავისი ხისტი საგარეო პოლიტიკის გამო და განიხილება, როგორც რევანშისტი და აგრესორი სახელმწიფო და აშშ-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფრთხე.

3.2 რუსეთის ეროვნული ინტერესები

რუსეთის ეროვნული ინტერესები და უსაფრთხოების ძირითადი პრიორიტეტები ვლადიმერ პუტინმა ცხადად ჩამოაყალიბა მიუნჰენის 2007 წლის კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ფუკუიამას მოსაზრება “ისტორიის დასასრულის” შესახებ უდაოდ ეჭვის ქვეშ დადგა, რადგან ამ კონფერენციის ფარგლებში გამოიკვეთა მოსკოვის ხედვა და მტკიცე პოზიცია არსებული საერთაშორისო წესრიგის მიმართ. აღნიშნული მსოფლმხედველობა დღემდე უცვლელი რჩება და პუტინი განაგრძობს მიუნჰენში დაფიქსირებული პოზიციის მკაცრად დაცვას. საინტერესოა გავაანალიზოთ, თუ რა წარმოადგენს კრემლის ეროვნულ ინტერესებს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კონტექსტში:

პირველი და ეგზისტენციალური პრიორიტეტი რუსეთის ეროვნული ინტერესებითვის არის მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემა. პუტინმა აღნიშნა, რომ ცივი ომის შემდგომ შექმნილმა უნიპოლარულმა წესრიგმა შეარყია დემოკრატია, გამოიწვია უფრო მეტი კონფლიქტი და საერთოდ, როდესაც ერთი ცენტრის მიერ მიიღება გლობალური მასშტაბის გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ეს ტირანიაა. შესაბამისად, უნიპოლარული მმართველობის მოდელი თანამედროვე მსოფლიოში მიუღებელი და შეუძლებელია, რადგან ეწინააღმდეგება თანამედროვე ცივილიზაციის მორალურ საფუძვლებს.

რუსეთი ცდილობს დაიბრუნოს “დიდი ძალის” სტატუსი და მოქმედებს როგორც გლობალური აქტორი. მას არ სურს, რომ გლობალური პოლიტიკა გადაწყდეს მისი ჩართვის გარეშე. ამიტომ, მოსკოვისთვის პრიორიტეტად რჩება, რომ მხოლოდ გაერო

იყოს საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიმღები ერთადერთი ორგანიზაცია და არა ნატო, ან ევროკავშირი, რომლის წევრი რუსეთი არ არის. შესაბამისად, რუსეთს აქვს გლობალური მოთამაშის ყოფნის ამბიცია და თავისი ქმედებებით ის ცხადყოფს, რომ არ დარჩება იზოლირებული და მაქსიმალურად, შესაძლებლობების ფარგლებში, ჩაერთვება მსოფლიო პოლიტიკაში, რათა დასავლეთის საპირწონე ძალად წარმოაჩინოს თავი (Putin's Munich Speech , 2007).

რუსეთი იღწვის მულტიპოლარული სისტემის გასამტკიცებლად. ამ მიზნით ავითარებს ურთიერთობებს ჩინეთთან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან, რომ ერთობლივი ეკონომიკური რესურსებითა და პოტენციალით ღირსეული კონკურენტი იყოს დასავლეთის და აშშ-ს უნიპოლარიზმს შეუქმნას საფრთხე.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და გამაღიზიანებელი რუსეთისთვის არის ნატოს გაფართოება. აღსანიშნავია, რომ რუსეთი პოსტ-საბჭოთა ტერიტორიაზე თავს დომინანტ სახელმწიფოდ წარმოაჩენს და თავისი "ექსკლუზიური გავლენის სფეროდ" მიაჩნია. შესაბამისად, დასავლეთის პირდაპირი თუ ირიბი ჩარევა ამ სივრცეში ყოვლად მიუღებელია კრემლისთვის. რუსეთის 2015 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ ნატოს გაფართოება პირდაპირ უქმნის საფრთხეს რუსეთის ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოებას ("О Стратегии национальной безопасности Российской Федерации", 2015).

ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხი რუსეთისთვის არის ნატოს გაფართოება. როგორც დმიტრი მდვედევმა აღნიშნა 2008 წლის ევანის კონფერენციაზე, სამხედრო ბლოკის ინფრასტრუქტურის მიახლოება რუსეთის საზღვრებთან ქმნის გამოწვევას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის და აყალიბებს ხელოვნურ საზღვარს, რის შედეგადაც რუსეთს შეკავება ხდება და მისი დასავლეთისგან იზოლაცია (World Policy Conference, 2008). მოსკოვი ნატოს გაფართოებას აღიქვამს, როგორც რუსეთის შეკავებას და მის საზღვრებთან თავდაცვითი ბლოკის შექმნის პერსპექტივას. ის ეწინააღმდეგება ბულგარეთსა და

რუმინეთში აშშ-ს ბაზებისა და ანტისარაკეტო სისტემის შექმნას, რადგან ეს პროვოკაციული ქმედებები ქმნის დაძაბულობას და კონფრონტაციის საფუძველს დასავლეთსა და რუსეთს შორის (Putin's Munich Speech , 2007).

3.4 რუსეთის ჰიბრიდული ომი

დიდი ამბიციებით შეპყრობილმა რუსეთის აღმოცენებამ და სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად ჰიბრიდული საშუალებების გამოყენებამ, ომის ტრადიციული გაგება შეარყია. მეტიც, მოვლენების ასეთმა განვითარებამ აჩვენა დასავლური ინსტიტუტების მოუმზადებლობა, გაუმკლავდეს ასეთ გამოწვევებს და გააშიშვლა ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების არსებული არქიტექტურის სუსტი მხარეები. მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული ომის კონცეფციის არსი ორიგინალური არ არის, ამ კონცეფციაში ინფორმაციის, როგორც ეროვნული ძალის სტრატეგიულ დონეზე გამოყენებამ და სახელმწიფო დამხობის ტექნიკების დახვეწამ სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ტიპის სახელმწიფოთაშორისო დაპირისპირებებში ერთი ორად გაზარდა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ადმინისტრაციის იმპერიალისტური ამბიციების დაკმაყოფილების შანსები. ჰიბრიდული ომის წყალობით რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა ახერხებს დემოკრატიის, როგორც დასავლეთის მთავარი მონაპოვარის სისუტედ წარმოჩენას.

ჰიბრიდული ომის წარმოებისას, მწარმოებელი სუბიექტის მიერ ერთდროულად გამოიყენება როგორც კონვენციური ისე, არაკონვენციური ომის ტაქტიკები - კრიმინალური დაჯგუფებები, საინფორმაციო კონფრონტაცია, პროპაგანდა და დეზინფორმაცია, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციები, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ზეწოლა. მთავარი მიზანი - მოწინააღმდეგის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწვეტილების მიღების მექანიზმის მორღვევა, საზოგადოების ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება, საზოგადოებისა და

ხელისუფლების მაქსიმალური დისტანცირება ერთმანეთისგან. ფრენკ ჰოფმანი იმასაც აღიარებს, რომ „ჰიბრიდული საფრთხის განსაზღვრების პრობლემა ის არის, რომ ის ფოკუსირებულია სხვადასხვა ტაქტიკის კომბინაციაზე, რომლებიც ძალადობასა და ომთან (კრიმინალური ქმედებების გამოკლებით) არის ასოცირებული, მაგრამ საერთოდ არ მოიცავს სხვა, არაძალადობრივ ქმედებებს“ (მგალობლიშვილი, 2016).

ჰიბრიდულ ომს არ გააჩნია საზღვრები-ის გლობალური ხასიათისაა. ეს პროცესი მოიცავს ბევრ სფეროს და მიმდინარეობს შეუწყვეტლივ. ჰიბრიდული ომის მთავარი რესურსი და ბერკეტი არის ინფორმაცია. სწორედ ინფორმაციის მანიპულირებით შესაძლოა მიაღწიონ დასახულ მიზანს. პოლიტიკური კუთხით, ჰიბრიდული ომი გულისხმობს გარე ძალების მიერ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ვირტუალურ ჩართვას და აქტივობას სამიზნე ქვეყანაში. ეს შეიძლება იყოს - გარკვეული ღირებულებების გავრცელება; არასამთავრობო ორგანიზაციების ან ცალკეული ინდივიდების ჩანერგვის საშუალებით, პოლიტიკურ პარტიებზე ზეწოლით, ცრუ ინფორმაციის გავრცელებით და ა.შ ... დესტაბილიზაციის შექმნა ქვეყანაში (Trenin, Avoiding US-Russia military escalation during the hybrid war, 2018).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ „კოლექტიურ დასავლეთსა“ და რუსეთის ფედერაციას შორის სხვადასხვა დონეზე კონფრონტაცია „ცივი ომის“ დასრულების შემდეგაც გრძელდება. ამ სიტუაციას ვერც გადატვირთვის პოლიტიკამ უშველა. 2014 წლის თებერვლიდან რფ-სა და დასავლეთს შორის არსებული დამაბული ურთიერთობები ახალ და კიდევ უფრო ცხელ ფაზაში გადაიზარდა.

რუსეთის პოზიციის მიხედვით, აშშ-მ განახორციელა პოლიტიკური ინტერვენცია რუსეთისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ბუფერულ ზონაში, რითაც ეცადა შეეკავებინა უკრაინის ინტეგრაცია პოსტ-საბჭოთა ევრაზიაში და შეექმნა ბარიერი რუსეთსა და დანარჩენ ევროპას შორის. რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა, მიიღო საპასუხო ზომა და ძალა გამოიყენა უკრაინაში - პირველი, მოახდინა ყირიმის

ანექსია და მეორე, მხარს უჭერდა აჯანყებულებს დონბასში. ამ პრეცედენტის შემდეგ არსებული ვითარება ჰგავს რუსეთ-აშშ-ს ვირტუალურ ომს.

უკრაინის კრიზისმა წერტილი დაუსვა რუსეთ-დასავლეთის მოკლევადიან თანამშრომლობას, გაზარდა დამაბულობა მასსა და აშშ-ს შორის და გააუხცოვა ევროპასთან. ეს კონფრონტაცია ხშირად მოიხსენიება როგორც მეორე ცივი ომი. თუმცა, წარსულისგან განსხვავებით, თანამედროვე მსოფლიოში ბრძოლის გარკვეული მეთოდები სხვა სახისაა და ცნობილია როგორც - ჰიბრიდული ომი.

მიმდინარე ჰიბრიდული ომი ეს არის კონფლიქტი უმეტესწილად რუსეთსა და აშშ-ს შორის, მსოფლიო წესრიგის საკითხთან მიმართებაში. აღნიშნული კონფლიქტი არ არის გამოწვეული გაუგებრობით ან გაუთვლელიობით - პირიქით, ორივე მხარეს მკაფიოდ განსაზღვრული საკუთარი პოზიციები გააჩნია. რუსეთს არ სურს ნატოს გაფართოება, რადგან მისთვის ეს თავდასხმად არის აღქმული, უკრაინას კი, ნატოსა და რუსეთს შორის ბუფერულ ზონად მიიჩნევს. აგრეთვე სურს ხელი შეუშალოს უნიპოლარიზმს. მეორე მხრივ, აშშ-ს ინტერესებში არ შედის ჰეგემონიის და გავლენების დაკარგვა.

რუსეთის ჰიბრიდული ომი ხასიათდება სუბვერსიული ინსტრუმენტებით, რომელთა უმეტესობა არამილიტარისტულია. მოსკოვი იყენებს ჰიბრიდულ აქტივობებს, რათა გაზარდოს ზეგავლენა რიგ პოლიტიკურ საკითხებზე; შეასუსტოს და წარმოშვას განსხვავებული ინტერესები ნატოში; მოახდინოს პროდასავლური მთავრობების დეზინტეგრაცია; შექმნას კონფლიქტის ზონები; მოახდინოს ტერიტორიის ანექსია; უზრუნველყოს ევროპულ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა.

რუსეთის ჰიბრიდული ომის წარმოების შესაძლებლობები შესამჩნევლად გაიზარდა ბოლო წლებში. მიღწეული მასშტაბები, სწორედ ამ სფეროში, აშშ-სა და მისი მოკავშირეებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და აშშ-ს შესაძლებლობები ასიმეტრიულია სამხედრო კუთხით, აშშ-ს სასარგებლოდ, ჰიბრიდულ სივრცეში უფრო რთული ხდება წინააღმდეგობის გაწევა.

რუსეთის ჰიბრიდული ომის სამი ძირითადი მახასიათებელია: *ძალის გამოყენების ეკონომია*. რუსეთი აცნობიერებს, რომ ნატოსთან სამხედრო კონფრონტაციით მას აქვს მოგების ძალიან პატარა შანსი. ამიტომ, სანაცვლოდ, მოსკოვი ცდილობს არასამხედრო გზებით,, მიაღწიოს სასურველ შედეგს. კიბერ ინსტრუმენტების გამოყენება ერთ-ერთი კარგი მაგალითია, იმისა თუ როგორ ახდენს რუსეთი ძალების ეკონომიას.

მუდმივობა. ჰიბრიდული ომი მიმდინარეობს მშვიდობიან პერიოდშიც კი. არის მოულოდნელი და არაპროგნოზირებადი. იცვლება მხოლოდ ოპერაციების ინტენსივობა. *საზოგადოებაზე ორიენტირებული*. მოსკოვის მთავარი ფოკუსი ხშირ შემთხვევაში არის სწორედ მოსახლეობა. კრემლში იყენებენ სხვადასხვა ბერკეტებს, იქნება ეს ინფორმაცია, პროპაგანდა, მედიის გამოყენება თუ სხვა, რათა მოსახლეობის განწყობებზე იმოქმედონ, მოახდინონ გავლენა მათ არჩევანზე და მოახდინონ საზოგადოების დეზინტეგრაცია.

მოსკოვს აქვს რამდენიმე მექანიზმი ჰიბრიდული ომის საწარმოებლად:

- *ინფორმაციული ოპერაციები*. რუსეთი გახდა შესამჩნევლად ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციების წარმოების მხრივ, პოლიტიკური ნარატივების ჩამოყალიბების საშუალებით ის გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე ბევრ ქვეყანაში. ისეთი მაუწყებლობა, როგორებიცაა “ რუსეთი დღეს” და “სპუტნიკ” არიან ძალიან ცნობილი ვექტორები რუსეთის სტრატეგიისთვის. ამის გარდა, სახალხო დიპლომატიის ამოქმედებით და მათ შორის გლობალური ტელე-პროგრამების ქსელებით და სოკოებივით აღმოცენებული კულტურული ცენტრების გააქტიურების („Русский мир“) საშუალებით ახორციელებს ზეგავლენას მოსახლეობაზე, გარკვეულ აზრს უყალიბებს; აფინანსებს ევროპაში ორგანიზაციებს თავისი მსოფლმხედველობის გასავრცელებლად, აგრეთვე ქმნის ტროლებს, ბოტებს და ცრუ ნიუსებს.

- *კიბერსივრცე.* ვლადიმერ პუტინის მთავრობა აქტიურად ქმნის კიბერ მეომრების ეფექტურ კადრებს და ძალიან დიდ თანხებს დებს სწორედ ამ მიმართულების გასავითარებლად. ეს მას შესაძლებლობას აძლევს გატეხოს დასავლეთის საინფორმაციო სისტემები და მოაგროვოს საჭირო ინფორმაცია. შემდეგ, ეს ინფორმაცია გამოიყენება თუნდაც არჩევნებზე ზეგავლენის მოსახდენად. ეს სტრატეგია გამოიყენა რუსეთმა 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო კამპანიის დროს.
- *მარიონეტები.* რუსეთი იყენებს სხვადასხვა დაჯგუფებებს თავისი ინტერესების გასავრცელებლად. ეს ჯგუფები ხშირ შემთხვევაში არიან ანტიამერიკულად განწყობილნი და არიან კრემლის მიზნებთან შესაბამისობაში. ერთ-ერთი ასეთი დაჯგუფებაა “ლამის მგლები“ ბაიკერების ბანდა, რომელთა ლიდერი არის პუტინთან დაახლოებული პირი. ამ დაჯგუფების ზუსტი როლი გაურკვეველია, თუმცა არსებობს მრავალი ეჭვი, რომ ჰიბრიდულ აქტივობებში მონაწილეობენ. უკრაინაში რუსეთის ჰიბრიდული ომის მაგალითია “მწვანე კაცუნების” ჩანერგვა, სამხედროების, რომლებიც კონფლიქტში მონაწილეობდნენ და ამწვავებდნენ სიტუაციას, მაგრამ კრემლი თითქოს არაფერ შუაში არ იყო, რადგან ვერ ხდებოდა ამ სამხედროების იდენტიფიცირება (Apps, 2018).

რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს ანტიდასავლურ მოძრაობებს. მაგალითად, ის მხარს უჭერდა ანტი-ევროკავშირის დაჯგუფებებს 2016 წელს ნიდერლანდებში. აგრეთვე, ირიბად ხელი შეუშალა ბულგარეთში მიმდინარე პროცესებს, მათ მცდელობას შეემცირებინათ დამოკიდებულება რუსეთის ენერგორესურსებზე და მოეხდინათ დივერსიფიკაცია.

- *ეკონომიკური გავლენა.* რუსეთი იყენებს ორ - პირდაპირ და ირიბ ეკონომიკურ ზეწოლას, რათა ზეგავლენა მოახდინოს ევროპის პოლიტიკაზე. მოსკოვმა გამოიყენა ენერგორესურსი, როგორც ბერკეტი, როდესაც შეუწყვიტა უკრაინას გაზით მომარაგება. ირიბ გავლენას რუსეთი ახდენს ევროპაზე, გარკვეული პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას, ენერგორესურსებს იყენებს, როგორც ზემოქმედების ბერკეტს.

რუსეთის ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და სკანდალური პრეცედენტია აშშ-ს 2016 წლის არჩევნებში ჩარევის მცდელობა. 2016 წელს აშშ-ს სადაზვერვო სამსახურმა განაცხადა, რომ რუსეთმა გატეხა დემოკრატიული ეროვნული კომიტეტის სერვერები და აგრეთვე, ჰილარი კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიის თავმჯდომარის, ჯონ პოდესტას, პერსონალური ელ-ფოსტა, აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების პროცესზე გავლენის მოხდენის მიზნით (Masters, 2018). აგრეთვე, აშშ-ს დემოკრატიის ლეგიტიმაციის შესასუსტებლად, რუსეთმა შეაღწია ამერიკელი მოქალაქეების და კერძო კომპანიების კომპიუტერებში, რათა მოეპარა მფლობელთა პერსონალური მონაცემები. ამ ინფორმაციის გამოყენების მიზანი იყო ამერიკელი საზოგადოების დაყოფა, და ზეგავლენის მოხდენა თითოეული ამოჩველის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით.

რუსეთმა არჩევნებისას ჰაკერული შეტევებით 1) აშშ-ს პოლიტიკური ელიტის და არამარტო ელიტის მონაცემები მოიპარა და 2) აღნიშნული მონაცემები მან გამოიყენა არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის მიზნით. მან შეძლო მოპოვებული მიმოწერების მანიპულაციით შეეღობა საპრეზიდენტო კანდიდატის რეპუტაცია და თავის მართლებს რეჟიმში ჩაეყენებინა. საბოლოო ჯამში, რუსეთის ფედერაციის ჰაკერულ შეტევებს აშშ-ში მიზნად დემოკრატიული სისტემის შერყევა და მსოფლიოში სამაგალითო თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემისთვის რეპუტაციული დარტყმის მიყენება იყო. ამის გარდა, რუსეთი აქტიურად

ახორციელებდა დეზინფორმაციას, დაფინანსებული და კონტროლირებადი მედიის საშუალებით, იყენებდა ბოტებს და ათასობით ბლოგერს არჩევნებზე გავლენის მოსახდენად. გაურკვეველი რჩება, შეცვალა თუ არა კრემლის ზემოაღნიშნულმა ქმედებებმა აშშ-ს არჩევნების შედეგი, თუმცა მთავარია, რომ ეცადა (Blackwill & Gordon, 2018).

3.5 აშშ-რუსეთი ახლო აღმოსავლეთში - სირიის კრიზისი

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებისთვის სერიოზული გამოწვევა გახდა სირიაში შექმნილი დესტაბილიზირებული ვითარება, სადაც რუსეთმა მოახერხა თავისი პოზიციების დაფიქსირება და საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს კონფლიქტის მსვლელობაზე. სწორედ სირიის კრიზისი არის პლატფორმა, სადაც კრემლი პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციის რეჟიმში არის აშშ-სთან. მოსკოვი ცდილობს მაქსიმალურად შეუქმნას პრობლემები მას და მის პარტნიორებს - შეულახოს პრესტიჟი, გამოაჩინოს თავისი სამხედრო შესაძლებლობები და რაც მთავარია, არ მისცეს აშშ-ს შესაძლებლობა მიაღწიოს მიზანს. ამით, რუსეთი ცდილობს დაამტკიცოს, რომ შესწევს ძალა წინააღმდეგობა გაუწიოს აშშ-ს გლობალურ დონეზე.

არაბულმა გაზაფხულმა მნიშვნელოვანი შიდაპოლიტიკური რყევები გამოიწვია სირიაში, რაც გადაიზარდა სამოქალაქო ომში. სირიის ამგვარმა დესტაბილიზაციამ შექმნა არაერთი სტრატეგიული საფრთხე და შესაძლებლობა სხვადასხვა მხარისთვის. სწორედ ამ მხარეების ინტერესთა კონფლიქტმა გადაზარდა ლოკალური შიდაპოლიტიკური დაძაბულობა, ჯერ რეგიონალურ, ხოლო შემდეგ ტრანსნაციონალურ ფართომასშტაბიან სამხედრო და პოლიტიკურ დაპირისპირებაში. დღესდღეობით სირიის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა საერთაშორისო პოლიტიკაში, რადგან ეთნიკური თვითგამორკვევის საკითხთან, სერიოზულ ტერორისტულ საფრთხეებთან და შიდაკონფესიურ დაპირისპირებასთან

ერთად, სირიაში ორი უდიდესი ბირთვული სახელმწიფოს ინტერესთა დაპირისპირება მიმდინარეობს, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში ტენდენციურ დამაბულობას იწვევს და ყველა სხვა პროცესიც სწორედ ამ ფონზე მიმდინარეობს, რაც თავის მხრივ უდიდეს გავლენას ახდენს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სამხედრო პროცესებზე (Fisher, 2016).

კრემლი ეტაპობრივად ქმნის სისტემატიურ გეოპოლიტიკურ გამოწვევას აშშ-ს ინტერესებისთვის. მისი ქცევა განპირობებულია პრესტიჟისა და გავლენის მოპოვების სურვილით, აგრეთვე, საკუთარი იარაღის და სხვა პროდუქციის ბაზრის ძებნის მიზნით.

ნავთობი არის ამ შეჯიბრის ცენტრი, მაგრამ არ არის ერთადერთი. რუსეთის საგარეო პოლიტიკური ხასიათიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მისი ახლო აღმოსავლეთში აქტივობა ნამდვილად სცდება მხოლოდ ბიზნესის სფეროს და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. როგორც საბჭოთა კავშირის პერიოდში, მოსკოვი იღწვის აკონტროლოს მთავრობები, განავითაროს სამხედრო ბაზები, გახსნას საზღვაო არხები და გაზარდოს ექსპორტი. ეს არის “დიდი ძალის” ამბიცია, რომელიც განაპირობებს სერიოზულ სტრატეგიულ კონფრონტაციას და გამოწვევას უქმნის აშშ-ს გავლენებს.

ძალის ვაკუუმი

ობამას ადმინისტრაციის მთავარი ამოცანა იყო თავი დაეღწია “ბუშის ომებიდან”. მისი აზრით, ირანის ბირთვული პროგრამა და სამხედრო კონფლიქტებში ჩაურევლობა იყო საუკეთესო გამოსავალი. თუმცა დრომ აჩვენა, რომ ეს მცდარი მოსაზრება იყო. აშშ-ს სამხედრო შენაერთების გაყვანის შედეგად, ახლო აღმოსავლეთში წარმოიქმნა ძალის ვაკუუმი, რომელიც უცებ შეავსო რუსეთმა და დაიკავა თავისი პოზიცია. მსგავსი ვითარების გამო, თანამედროვე ეტაპზე აშშ-ს უკვე უჭირს სირიაში კრიზისის დარეგულირება და რუსეთზე ზეწოლის მოხდენა,

მითუმეტეს ალექსოს დაცემის შემდგომ, ცხადი გახდა, რომ რუსეთის მილიტარისტული შესაძლებლობები არც თუ ისე მცირეა.

რუსეთის ინტერესები სირიაში

რუსეთის ჩართულობას სირიის კრიზისში აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი მისი ეროვნული უსაფრთხოებისა და გლობალური სტრატეგიის პირობებში. რუსეთისთვისაც რეალური საფრთხეა ტერორიზმი და ის სირიაში აქტიურად ებრძვის ჯიჰადისტებს. დაახლოებით 2,500 რუსეთის მოქალაქე იბრძვის დაეშის რიგებში და მათი სამშობლოში დაბრუნება, რუსეთის უსაფრთხოებისთვის გამოწვევაა. სირია, ეს არის ერთგვარი ასპარეზი, სადაც რუსეთს შეუძლია თავი გამოიჩინოს და შეეჯიბროს აშშ-ს. აღნიშნული კონფლიქტი არის პლატფორმა, რომლის ფარგლებში მოსკოვი “კუნთებს ათამაშებს” და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მის გარეშე საერთაშორისო საკითხები ვერ გადაწყდება. საყურადღებოა, რომ რუსეთის ინტერესებშია ნავთობის ფასებზე გავლენის მოხდენა, რადგან სწორედ ეს რესურსი არის მისი ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ვინაიდან სირიის კონფლიქტში არაერთი მხარეა ჩართული, კრემლი კარგად იყენებს ამ ფაქტორს თავისი იარაღის გასასაღებლად. სირიის კრიზისი, არის არენა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს რუსეთს დაუახლოვდეს მოკავშირეებს, შექმნას უფრო მტკიცე ალიანსი. სირიაში ინტერესთა რამდენიმე ჯგუფია, შესაბამისად, საერთო ინტერესების მქონე მხარეებთან კოოპერაცია და მათი თავის სასიკეთოდ გამოყენება მოსკოვისთვის ხელსაყრელია. საგულისხმოა, რომ რუსეთისთვის მნიშვნელოვანია ტარტუსის საზღვაო ბაზის შენარჩუნება, რომელიც რუსეთის ერთადერთი სამხედრო ბაზაა პოსტსაბჭოთა სივრცის გარეთ. ცნობილია, ყატარიდან სირიის გავლით, მილების გაყვანის პროექტის განხორციელების პერსპექტივა, რაც მოამარაგებდა დასავლეთს იაფი ბუნებრივი აირით და მისცემდა მათ ენერგორესურსების დივერსიფიკაციის საშუალებას. რა თქმა უნდა, ეს არანაირად არ შედის რუსეთის ინტერესებში, შესაბამისად, ის ცდილობს და ეცდება ყველანაირი ბერკეტი

გამოიყენოს, რომ არ დაუშვას აღნიშნული პროექტის განხორციელება (Trenin, Russia's Line in the Sand on Syria, 2012).

დასავლეთის, უპირველეს ყოვლისა აშშ-ს, როგორც ჰეგემონის როლი სირიის კონფლიქტის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. მისი პოზიცია მდგომარეობს ასადის რეჟიმის დამხობასა და დემოკრატიის განვითარებაში.

აშშ-რუსეთის დაპირისპირების ესკალაცია სირიაში

მიმდინარე წლის დასაწყისში პრეზიდენტი ტრამპი აპირებდა ჯარების ნაწილის გაყვანას სირიიდან, თუმცა სულ რაღაც ათი დღის შემდეგ, ახალი ფრონტი გახსნა ასადის წინააღმდეგ.

ტრამპსა და პუტინს შორის დამაბულობამ სირიაში იმატა, მას შემდეგ რაც ასადის რეჟიმმა ქიმიური იარაღი გამოიყენა დამასკოში მოსახლეობის წინააღმდეგ 2018 წლის აპრილში. ამ ქმედებას მოჰყვა ტრამპის მწვავე რეაქცია სოციალურ ქსელში, სადაც ის რუსეთს ემუქრებოდა აშშ-ს “მშვენიერი და ჭკვიანი” რაკეტებით (Burns, 2018). რუსეთის ელჩმა გაეროში, ვასილი ნევენზიამ, განაცხადა, რომ “არ გამორიცხავს” ომს ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის. მან აგრეთვე, გააფრთხილა აშშ, რომ არ გამოეყენებინა სამხედრო ძალა სირიაში, კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით (Threat of US-Russia clash hangs over Syria, 2018). 13 აპრილს ტრამპმა ბრძანა სარაკეტო დარტყმა ასადის წინააღმდეგ. ამ ოპერაციას შეუერთდნენ საფრანგეთი და ბრიტანეთი. აღნიშნული ოპერაცია იყო ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების მიმართ საპასუხო ქმედება. ეს იყო მეორე შემთხვევა, როდესაც ტრამპმა გამოიყენა სამხედრო ძალა ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ (Sonne, 2015). “დასავლეთის” მსგავსი მილიტარისტული კამპანიით, ბუნებრივია, ღიზიანდება ასადის მთავარი პარტნიორი და მისი პოზიციების დამცავი მოსკოვი, შესაბამისად, ტრამპის მიმართ მისი აგრესია იზრდება და კონრონტაციის ახალ ეტაპზე გადასვლის რისკი სულ უფრო მაღალი ხდება.

3.4 რუსეთის ახალი ბირთვული შეიარაღება

2018 წლის პირველ მარტს ფედერალურ საბჭოსთან გამართულ შეხვედრაზე, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, ახალი ბალისტიკური რაკეტები და მრავალფუნქციური ბირთვული იარაღი წარადგინა. საკუთარი მიმართვის თითქმის ნახევარი მან აშშ-სთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარს დაუთმო. პუტინმა აღნიშნა, რომ აშშ ანტისარაკეტო სისტემას აყალიბებს რუსეთის საზღვრებთან, რაც ეწინააღმდეგება მათ შეთანხმებას. ამ ქმედების საპასუხოდ, კრემლმა წარადგინა თავისი თანამედროვე სამხედრო შეიარაღება. პრეზენტაციაზე პუტინმა აღნიშნა ახალი საკონტინენტორისო მძიმე სარაკეტო კომპლექსი “სარმატი” , რომლის “მოქმედების სიშორე შეუზღუდავია, ფრენის ტრაექტორიის განსაზღვრა კი შეუძლებელი”. პუტინმა, ასევე, ისაუბრა ახალი ბირთვული იარაღის წარმატებული ტესტირების შესახებ. მისი თქმით, ახალმა შეიარაღებამ წარმატებით გაირა თავდაცვითი სისტემების დაძლევის პროცესი: "რადგანაც რაკეტის ფრენის მანძილი შეუზღუდავია, მას შეუძლია მანევრირება მანამ გააგრძელოს სანამ მიზანს არ მიაღწევს".

ამავე პრეზენტაციაზე გაიმართა, ატმოსფეროს ზედა ფენებში მანევრირებისთვის განკუთვნილი სარაკეტო სისტემის “ავანგარდის” წარგენა. პუტინის თქმით, იარაღის სიჩქარე ზებგერითია და იგი მიუწვდომელი იქნება მოწინააღმდეგების თავდაცვითი სისტემებისთვის (Russia's Putin unveils 'invincible' nuclear weapons, 2018).

პუტინის მიერ ზემოხსენებული სამხედრო შესაძლებლობების წარდგენისა და თანდართული რიტორიკის ანალიზის შედეგად, ცხადი ხდება რუსეთის მილიტარისტული განწყობა და მზაობა აშშ-ს გაუწიოს წინააღმდეგობა, თუკი ის განაგრძობს რუსეთის საზღვრებთან თავდაცვითი სისტემების განვითარებას. აღნიშნული აგრესიული განწყობები და რუსეთის მიერ შემუშავებული ახალი ბირთვული შეიარაღება, ბუნებრივია, გამოწვევას ქმნის აშშ-ს ეროვნული ინტერესებისთვის და უსაფრთხოებისთვის. რუსეთი უფრო ანგარიშგასაწევი ძალა

ხდება და აშშ-ს გარკვეული ქმედებების პერსპექტივა უფრო იზლდება, რათა არ გამოიწვიოს და არ მისცეს კრემლს ხისტი ქმედებების განხორციელების საბაზი.

პუტინის აღნიშნულმა გამოსვლამ ცხადჰყო, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა და უახლოვდება “გამალებული შეიარაღების” ეტაპს. ამ ეტაპიდან პირდაპირ კონფრონტაციაზე გადასვლის რისკი კი ძალიან დიდია.

3.5 რუსეთის სუსტი მხარეები

მიუხედავად რუსეთის აქტიური, აგრესიული საგარეო პოლიტიკისა და გლობალური ამბიციებისა, მას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის რიგი საშინაო ფაქტორები. მოსკოვის საერთაშორისო ასპარეზზე ჩართულობას, მის სამხედრო დანახარჯებსა და რეალურ შესაძლებლობებს შორის არსებითი სხვაობაა.

კრემლის პრეტენზიას, იყოს “ დიდი ძალა” ხელს უშლის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი:

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა. აშშ-ს ეკონომიკა ათჯერ აღემატება რუსეთისას. ნავთობის მაღალი ფასების პირობებშიც კი, მოსკოვი ვერ შეეჯიბრებოდა აშშ-ს. ნავთობის ფასების დავარდნისა და უკრაინის კრიზისის შემდგომ რუსეთის ეკონომიკამ განიცადა კოლაფსი. 2014 წლის შემდგომ რუსეთის ეროვნული რეზერვი შემცირდა \$88 მილიარდიდან \$30 მილიარდამდე. რუსეთის კიდევ ერთი პრობლემაა დემოგრაფია, რომელიც განიცდის კრიზისს. ერი ბერდება, შესაბამისად ქმედითუნარიანი მოსახლეობის რიცხვი მცირდება, რაც აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და ქვეყნის ეკონომიკაზე. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2015 წლისთვის სამუშაო ძალა 25 %-ით შემცირდება.

რუსეთის სამხედრო დანახარჯები 2017 წელს შეადგენდა მისი ბიუჯეტის 30%. სტატისტიკის მიხედვით, მოსკოვი 2020 წლისთვის იძულებული გახდება შეამციროს სამხედრო ბიუჯეტი \$41 მილიარდამდე. აქვე აღსანიშნავია, რომ ნატოს სამხედრო ხარჯები შეადგენს \$892 მილიარდს.

მოსკოვის სუსტ მხარეებში საგულისხმოა მისი სუსტი მოკავშირეები და არაერთგვაროვანი ალიანსი. თანამედროვე ეტაპზე, რუსეთის ინტერესების გამზიარებლები არიან ირანი და სირიის ავტოკრატიული რეჟიმი. ბუნებრივია, ეს სახლმწიფოები ვერ წარმოადგენენ “დასავლეთის” საპირწონე ძალას, მათი სუსტი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

დასკვნა

ობამასა და ტრამპის ადმინისტრაციების მიერ შემუშავებული აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების ანალიზის შედეგად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ახალ სტრატეგიაში, რუსეთთან მიმართებით, აღინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა, რომ ახალ სტრატეგიაში რუსეთი არაერთხელ ხაზგასმით არის ნახსენები, როგორც არსებითი საფრთხე აშშ-ს ინტერესებისთვის. აგრეთვე, აღნიშნულია კრემლის რევანშისტული ქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება აშშ-ს პრიორიტეტებს. ტრამპის სტრატეგიაში ყურადღება არის გამახვილებული იმ რეგიონებზე და იმ სფეროებზე, სადაც მოსკოვი ცდილობს თავი დაიმკვიდროს და გამოწვევა შეუქმნას ვაშინგტონს. ზემოაღნიშნული პოზიციები და დამოკიდებულება არ არის დაფიქსირებული ობამას ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ სტრატეგიაში, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რუსეთისგან მომავალი საფრთხე აშშ-ს ინტერესების მიმართ ატარებს მზარდ ხასიათს. კვლევისთვის საინტერესო იყო, თუ რამ გამოიწვია ახალ სტრატეგიაში აღნიშნული ცვლილებების დაფიქსირება. რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ კრემლის მიერ დინამიურად განხორციელებული ხისტი და აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმოებამ, მიმართული აშშ-სა და მისი პარტნიორების საწინააღმდეგოდ - როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ისე გლობალური მასშტაბით, წარმოებული ჰიბრიდული ომი, ახალი ბირთვული იარაღის წარმოდგენა - განაპირობა აშშ-ს მიერ რუსეთისადმი დამოკიდებულების ცვლილება, მისი საფრთხედ აღქმა, რაც ცხადად აისახა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში.

ურთიერთობები აშშ-სა და რუსეთს შორის უაღრესად დამაბულია და თითოეული მხარე თავისებურად აფასებს, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული ვითარება. განსხვავებები აშშ-სა და რუსეთის ინტერესებს შორის ფუნდამენტური ხასიათისაა და არაა იოლად მოსაგვარებელი. აშშ-ს ოფიციალური პირები აღნიშნავენ კრემლის მიერ

ყირიმის ანექსიის პრეცედენტს და ომის გაჩაღებას აღმოსავლეთ უკრაინაში. აგრეთვე, მიუთითებენ ბირთვული იარაღით მანიპულირებასა და სამხედრო პროვოკაციულ ნაბიჯებზე დასავლეთის პარტნიორების მიმართ. ვაშინგტონში ხაზს უსვამენ რუსეთის მიერ სირიაში სამხედრო ინტერვენციას, რომელიც მიზნად ისახავს ბაშარ ალ-ასადის ბრუტალური დიქტატორული რეჟიმის მხარდაჭერას. ამასთან, ყურადღებას ამახვილებენ რუსეთის მიერ უპრეცედენტო ქმედებაზე - დეზინფორმაციის კამპანიაზე, რომელიც ემსახურებოდა აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევას.

მეორე მხრივ, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს და მის წრეს სხვანაირი ხედვა აქვთ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. უკრაინაში მოსკოვი თავს ხედავს შემაკავებელ ძალად აშშ-ს, ნატოსა და ევროკავშირის მზარდი გეოპოლიტიკური ექსპანსიის წინააღმდეგ. ისინი მიუთითებენ, რომ აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა მიუახლოვეს თავიანთი ჯარი რუსეთის საზღვრებს, რაც თავისთავად არ შედის კრემლის ინტერესებში და გამოწვევას უქმნის მის უსაფრთხოებას. აგრეთვე, კრემლში აღნიშნავენ, რომ აშშ არაერთხელ ჩარეულა რუსეთის საშინაო პოლიტიკაში, და სწორედ მისი ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მიერ იყო ინიცირებული ანტისამთავრობო პროტესტები მოსკოვში 2011 წლის დეკემბერში. მოსკოვის პოზიციით, აშშ ერევა სირიის საშინაო პოლიტიკაში ლეგიტიმური მთავრობის გადაყენების მიზნით, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მის მცდელობებს იყოს ჰეგემონი სახელმწიფო, გადააყენოს რა რეჟიმები, რომლებიც არ მოსწონს.

ამ ორ ნარატივს შორის სხვაობა არსებითია და შესაძლოა ითქვას, რომ ეს არის მხოლოდ ანარეკლი ძველი წყენებისა, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენილია რუსეთის ელიტის ცნობიერებაში. რუსეთი ვერ ეგუება უნიპოლარულ მსოფლიო წესრიგს, ერთ ლიდერს აშშ-ს სახით. მას თავად სურს იყოს გლობალური დონის მოთამაშე, იღებდეს მონაწილეობას საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიღებაში, ჰქონდეს ისეთი გავლენები, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ანუ იყოს აშშ-ს საპირწონე ძალა. მსგავსი პრინციპული განსხვავება აშშ-სა და რუსეთის ინტერესებს შორის

დაძაბულობის აღნიშნული დინამიკა ზრდის სამხედრო კონფრონტაციის რისკს; ბოლო წლებში რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა ძალიან გავს მეორე ცივ ომს. ამ კონფრონტაციას არ აქვს გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირების საფუძველი, მაგრამ უშუალო კონფლიქტის მოხდენის რისკი ძალიან დიდია.

ექვვარეშა, რომ რუსეთის საგარეო აქტივობები გამოწვევას უქმნის აშშ-სა და მის მოკავშირეებს. თუმცა, ეს პრობლემა უფრო ფართო ხასიათისაა და ასახავს საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე დინამიკას : 1. მიმდინარე ბალანსის ცვლილება გლობალური სამხედრო/პოლიტიკური/ეკონომიკური ძალის მხრივ და აშშ-ს უპირატესობის შედარებით დაქვეითება; 2) გავლენიანი ძალების მიერ სოციალური, რეგიონალური და ინსტიტუციონალური ფრაგმენტაციის ხელშეწყობა; 3) სირიაში კონფლიქტის ესკალაცია 4) "great power competition" რეგიონალურ და გლობალურ დონეზე.

მამასადამე, თუ გავანალიზებთ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების დინამიკას ობამას მმართველობიდან ტრამპის პრეზიდენტობამდე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის მხრიდან მომავალი საფრთხე გაიზარდა და ეს ტენდენცია საშიშ დინამიკას იძენს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ვინაიდან რუსეთს არ გააჩნია საკმარისი ეკონომიკური და ფინანსური რესურსები გლობალური კონფრონტაციისათვის, საბჭოთა კავშირის ტოლი გავლენები და ძლიერი ალიანსები, გრძელვადიან პერსპექტივაში ის ვერ მოახერხებს აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნებას.

ბიბლიოგრაფია

- (2015). Retrieved from "О Стратегии национальной безопасности Российской Федерации":
<https://rg.ru/2015/12/31/nac-bezopasnost-site-dok.html>
- Apps, P. (2018). Putin's nuclear-tipped hybrid war on the West. *Reuters*.
- Aron, L. (2013). The Putin Doctrine. *Foreign Affairs*.
- Blackwill, R. D., & Gordon, P. H. (2018). Containing Russia, Again. *Foreign Affairs*.
- Bremmer, I. (2015). Why Washington can still claim global primacy in the 21 century. *Time* .
- Burns, R. (2018). Trump says 'missiles coming' against Syria, 'new and smart'. *The Military Times*.
- Carlin, J. (2018). Russia Is a Rogue State. Time to Say So. *Politica*.
- Chausovsky, E. (2017). Russia's Hybrid Warfare Strategy. *Stratfor*.
- Cohen, A. (2017). Russia roaring back the middle east while america asleep. *The National Interest*.
- Fisher, M. (2016). Straightforward Answers to Basic Questions About Syria's War. *The New York Times*.
- Gearan, A. (2017). National security strategy plan paints China, Russia as U.S. competitors. *The Washington Post*.
- How Big a Challenge Is Russia? (2017). *Foreign Affairs*.
- Malinovsky, M. (2016). Russia's Path to Another Resurgence. *Stratfor Worldview*.
- Masters, J. (2018). Russia, Trump, and the 2016 U.S. Election. *Council on Foreign Relations*.
- Mearsheimer, J. J. (2001). *The tragedy of great power politics*. New York: Norton & Company.
- Mearsheimer, J. J. (2013). Structural Realism. *Oxford University Press*, 77-93.
- National Security Strategy*. (2015). Retrieved from <http://nssarchive.us/wp-content/uploads/2015/02/2015.pdf>
- National security Strategy*. (2017). Retrieved from <http://nssarchive.us/wp-content/uploads/2017/12/2017.pdf>
- Putin's Munich Speech* . (2007). Retrieved from <https://www.youtube.com/watch?v=hQ58Yv6kP44&t=2s>
- Ruff, A. (2016). Russia's rising role in the world. *Foreign Policy*.
- Rumer, E. (2017). Vladimir Putin's Russia Goes Global. *Carnegie*.
- Rumer, E. B. (2017). Trump and Russia: The right way to manage relations. *Foreign Affairs*.
- Russia's Putin unveils 'invincible' nuclear weapons*. (2018). Retrieved from
<https://www.bbc.com/news/world-europe-43239331>

- Sanger, D. E. (2018). A Russian Threat on Two Fronts Meets an American Strategic Void. *The New York Times*.
- Sonne, P. (2015). Trump's strikes on Syria risk retaliation, escalation in a war he wants to avoid. *The Washington Post*.
- Thompson, L. (2015). Why Putin's Russia Is The Biggest Threat To America In 2015. *Forbes*.
- Threat of US-Russia clash hangs over Syria*. (2018). Retrieved from <http://www.gannawarratimes.com.au/story/5340147/threat-of-us-russia-clash-hangs-over-syria/?cs=5>
- Trenin, D. (2012). Russia's Line in the Sand on Syria. *Foreign Affairs*.
- Trenin, D. (2018). Avoiding US-Russia military escalation during the hybrid war. *Carnegie*.
- Waltz, K. N. (1979). *Theory of International Politics*. Wesley Publishing Company.
- World Policy Conference, E. (2008). Retrieved from <https://www.youtube.com/watch?v=mdXXVj1QmVQ>
- Zumwalt, J. (2017, Dec 21). *Trump vs. Obama: How Their National Security Strategies Compare*. Retrieved from <http://www.breitbart.com/national-security/2017/12/21/zumwalt-trump-vs-obama-national-security-strategies-compare/>
- მგალობლიძევილი, გ. (2016). *ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის*. თბილისი: EPRC.